

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 20 სექტემბრის
დადგენილება № 316

„სტუ-ში ბეჭდური პროდუქციის
გამოცემის, შენახვისა და რეალიზაციის
პრობლემათა შემსწავლელი კომისიის“
უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. იმის გამო, რომ „სტუ-ში ბეჭდური პროდუქციის გამოცემის, შენახვისა და რეალიზაციის პრობლემათა შემსწავლელმა კომისიამ“ მთლიანად შეასრულა მის წინაშე დასმული ამოცანები (კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ა. შავგულიძის მოხსენებითი ბარათი თან ერთვის) მიზანშეწონილად ჩაითვალოს აღნიშნული კომისიისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა წინამდებარე დადგენილების გამოქვეყნების დღიდან;
2. კომისიის მიერ მიღებული და სტუ-ს მმართველ ორგანოებში დამტკიცებული ყველა დოკუმენტის ცხოვრებაში დასანერგავად მუდმივი მონიტორინგის დაწესება დაევალოს სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს საორგანიზაციო საკითხთა კომისიას.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე